შპს ვანდმაუერ
საქართველო, ქ.თბილისი
ტელ: +995 574 70 04 04
info@wandmauer.ge
www.wandmauer.ge

WAND MAUER

WandMauer Ltd
Georgia, Tbilisi
Phone: +995 574 70 04 04
info@wandmauer.ge
www.wandmauer.ge



ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

შპს ვანდმაუერ

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისში, ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე ს/კ 01.13.07.021.329, ს/კ 01.13.07.021.113 და ს/კ 01.13.07.021.114 განთავსებული ბაქანის დემონტაჟის შესახებ.

<u>დამკვეთი</u>: შპს თოდუას კლინიკ-ის მესაკუთრე:

/გიორგი დიასამიძე/

<u>შემსრულებელი:</u> შპს ვანდმაუერ-ის

დირექტორი: /ნიკალა შარაშენიძე/

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი- ----------4

ტექნიკური დავალება ----------4

თავი I გამოკვლევა და აღწერა ----------5

თავი II ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა ----------6

დანართი----------7

შ ე ს ა ვ ა ლ ი

2022 წლის 10 აპრილს შპს ვანდმაუერ-ს განცხადებით მიმართა მოქალაქემ გიორგი დიასამიძემ ქ. თბილისში, ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე ს/კ 01.13.07.021.329, ს/კ 01.13.07.021.113 და ს/კ 01.13.07.021.114 არსებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებული ბაქნის დემონტაჟის შესახებ ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მომზადების თაობაზე.

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა შედგება ორი თავისაგან: პირველი თავი ეთმობა ობიექტის აღწერას და კვლევას, ხოლო მეორე თავში მოცემულია ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.

ტექნიკური დავალება

შპს ვანდმაუერ-ის ექსპერტი-სპეციალისტის წინაშე გადასაწყვეტად ქ. თბილისში, ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე ს/კ 01.13.07.021.329, ს/კ 01.13.07.021.113 და ს/კ 01.13.07.021.114 მისამართზე დასმულია შემდეგი საკითხი:

- შესაძლებელია აღნიშნულ მისამართზე ბაქანის დემონტაჟი მომიჯნავე შენობა-ნაგებობის დაზიანების გარეშე.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა

თავი I. საკვლევი ობიექტის აღწერა და კვლევა

ტექნიკურ დავალებაში დასმული საკითხების გადასაწყვეტად ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ დამკვეთის საკუთრებაში არსებული ს/კ 01.13.07.021.329 ბაქანი აწყობილია ასაწყობი ფილებით, რომელიც სიმაღლეში გრუნტიდან 1.09 მ-ით არის აწეული (იხილეთ დანართი სურ.1.). მისი გაბარიტებია 9.1x25.6მ. ბაქანი ს/კ 01.13.07.021.113 და ს/კ 01.13.07.021.114 იგივე კონსტრუქციით არის შესრულებული. ბაქანის კედლის ასაწყობი ფილების სისქეა 10სმ (იხილეთ დანართი სურ.2.). ფილის არმირება შესრულებულია 4-5მმ გლუვი არმირებით (იხილეთ დანართი სურ.3.). კედლებს შორის ჩაყრილია გრუნტი, რის შემდგომ დაგებულია ასაწყობი ფილები ჰორიზონტალურად და დაგებულია ასფალტის საფარი. ჰორიზონტალური ფილა სისქით 14სმ (იხილეთ დანართი სურ.4.). ფილის არმირება შესრულებულია ბიჯით 20სმ (იხილეთ დანართი სურ.5.) კვეთით Ø10მმ (იხილეთ დანართი სურ.6.). ბეტონის კლასი შემოწმებულია სკლერომეტრული მეთოდით შმიდტის ჩაქუჩის გამოყენებით (იხილეთ დანართი სურ.7.) და კლასით წარმოადგენს B25.

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას გამოყენებული მასალები და ხელსაწყოები:

1. ფოტოდოკუმენტური მასალა (4-ფურცელი);
2. შმიდტის ჩაქუჩი;
3. ციფრული შტანგელი;
4. პროფომეტრი;
5. სიგრძის საზომი ლენტი;
6. ლაზერული მანძილმზომი;
7. ციფრული თარაზო;
8. ნესტის საზომი ხელსაწყო.

თავი II. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

ტექნიკურ დავალებაში დასმული საკითხის შესაბამისად, ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ქ. თბილისში, ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე ს/კ 01.13.07.021.329, ს/კ 01.13.07.021.113 და ს/კ 01.13.07.021.114 ბაქანის დემონტაჟის შესახებ, ფოტომასალით და ინსტრუმენტული შესწავლით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- ზემოთ ხსენებულ მისამართზე ბაქანის დემონტაჟი შესაძლებელია, როგორც მძიმე ხელის ინსტრუმენტებით და აპარატურით, აგრეთვე მძიმე ტექნიკითაც. ს/კ 01.13.07.021.320 და 01.13.07.021.322 მიახლოებისას 3 მეტრის მანძილიდან მუშაობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ხელის მოწყობილობებით მძიმე ტექნიკის გარეშე. ამ პრინციპით დემონტაჟის შესრულებით მომიჯნავე შენობებს საფრთხე არ ემუქრება.

წინამდებარე ტექნიკური საექსპერტო დასკვნა მომზადდა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილების შესაბამისად. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა და კვლევა ჩამოყალიბებულია 10- ნაბეჭდ გვერდზე

წინსაწარი შეცნობით, ყალბი დასკვნის გაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვართ ს.ს.კ 370-ე მუხლით.

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა მოამზადა შპს ვანდმაუერ-ის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტებმა:

შპს ვანდმაუერ-ის დირექტორი: /ნიკალაი შარაშენიძე/



სურ.1.



სურ.2



სურ.3.



სურ.4.



სურ.5.



სურ.6.



სურ.7.